ფონდი Фонд 287 ანაწერი 1 შენახვის ერთ. 121

დასკანირებულია
16.11.20..

ფონდი Фонд 287 ანაწერი Опись 1 შენახვის ერთ. ед. хр. 121

2/3.

ერთ-ორ გამოუქვეყნებელ ლექსებს ნიშნად მათთან სამუდამოდ განშ-
რებისა.[1]

## აყვავებულ კოლხიდას

მე მაგონდება წარსული შენი,
შენი მინდვრები ჭაობით სავსე.
თხმელების ტყე და ტანმარდი შველი
და მუხლებამდე ტალახი გზაზე.

დღეს ოქროს სირმით შემოგარსული
მგზავრს აოცებ და ხალისით ავსებ.
შემოგხარი და ველზე გასული
სიმღერას გეტყვი ბულბულის ხმაზე.

გადიდებს, გაქებს ქვალონი, ხობი
ალვის ხითა და აკაციებით.
ჩემი ბავშვობა შენთან ნამყოფი,
კოლოს შხამ-გესლით განაციები.

ყველას უყვარხარ... ფრინველთა შორის
გემდურის მხოლოდ მაღალი ყანჩა.
მიწას მოსტაცეს ჭონჭყო და შმორი
და მის სანაცვლოდ ნარინჯი გაჩნდა.

ევკალიპტების ხეები დგანან
ლაქაშის ნაცვლად, მწუხრი დავხურეთ.
კოლხეთის ციდან მზე გადმომდგარა
და აყვავებულ ყორათს დაჰყურებს.

"ჩვენი თაობა", 1937,
N 4, გვ. 27-28

---

1 ვრცლად ჩემზე, ომის პერიოდის შესახებ იხ. წიგნებში: ზაქარ
შველიძე, თბილისის უნივერსიტეტელები დიდ სამამულო ომში, თ
1975, გვ. 108-112; აკაკი ირემაძე, ნაომარი მეცნიერები, თ
1987, გვ. 91-97.

## ზამთარი ფოთში

ო, როგორ მინდა ეს ქარი ჩადგეს,
მაგრამ კვლავ მძაფრად განაგრძობს გრიალს.
ხმელ მერქანს ტანზე გლეჯს შიშველ ჭადრებს
და სადღაც მიაქვს.

ქარი ქარს ანგრევს, ქარი ქარს ლეწავს,
ქარების ომში რა უნდა ფოთოლს?!
შეუკრავს შუბლი ხანჯლიან ზეცას
და, ალბათ, მოთოვს!

მზეს, აბა, თოვლი როგორ ეკადრა,
უცვალა გეზი შემოსულს ღამით.
და ჩემს ქალაქში ზამთრის დეკადაც
მთავრდება ამით.

1939

## კურორტი გაგრა

შეჩერდა გემი. ნაპირზე მოწყენა გაქრა.
ჰყრიდა ზეციდან ამონარა ელვარე ლალებს.
ხეთა რტოებით თვალს იფშვნეტდა კურორტი გაგრა
და ღამის კუბო ზღვის საფლავში ჩაჰქონდათ პალმებს.

მე ჩავიძირე ხეივნებში, როგორც ბეღურა,
გზისპირ, ყვავილებს, სურნელება მოვსწყვიტე ძილის.
მწვანე შლეიფად გაგრას თავზე გადაეხურა
უზარმაზარი მთებისა და ჭადრების ჩრდილი.

მთიდან ღრუბლები გადაეშვნენ ხევში ზარზაცით,
კლდის ნაპრალებში ჩაიძენძა ნისლის ქიმერა.
გაბრწყინდა გაგრა -სილამაზით თვალებწარმტაცი,
ძველთაგან ჩვენი ივერიის დიდი "რივერა".

1939

"მგზ. კოლ."1941, N 24

# პ ა ლ მ ა

/ბალადა/

ერთი პალმა ზღვის კარებთან,
მუდამ ზღვას რომ უმზერს,
შემკრთალივით კანკალებდა
ვარსკვლავების შუქზე!

თითქოს დღენი დაებინდა,
დაურბია ქარმა,
ცრემლს აფრქვევდა თვალებიდან
ფინიკური პალმა.
ვინ მოუკლეს ახლობელი,
ვინ უჩაღებს კოცონს?
ეს ზღაპრული სამყოფელი
ნუთუ აღარ მოსწონს?!
იქნებ შესტრფის ამ თეთრ ვარდებს,
ამ ჭადრების ძმობას...
იქნებ ზღვაში გადავარდეს
თავის დასახრჩობად!..

-"- -"- -"-

ღამის ცვარით ნაწამებო,
მეგობრებო, დებო,
ჩემო ნაზო ბანანებო,
ჩემო ნარგიზებო!

თქვენთან მოვედ, მინდა გთხოვოთ,
ვით ბულბული ბაღის,
ზღვისპირ მარტოდ არ დასტოვოთ
ეს მტირალი ბალღი

-"- -"-

განვერიდე. ზღვა მარტოა
და ღამეა რბილი.

ეს რა ხმებმა ამათრთოლა,
ვინ საბრალო ტირის!
ქარს ტალღების დაჯახება,
გაეტანა გაღმა.
ბაღში შაშვი ჭახჭახებდა,
ქვითინებდა პალმა!

-"- -"-

ჩამოსულან მთიდან სრულად
ნისლები და, ზედზე,
ვარსკვლავებიც ჩამოსულან,
ჩამომსხდარან ხეზე.
ჩამოსულან მღელვარებით
და ჰყვებიან ამბავს
და მეგობრულ ელვარებით
შესცქერიან პალმას.
იგი იდგა ზღვის კარებთან,
მუდამ ზღვას რომ უმზერს
და კვლავ ისე კანკალებდა
ვარსკვლავების შუქზე!
დაე, გზები დავიდუმო,
გავხდე მსხვერპლი ალის,
ოღონდ მარქვით საიდუმლო
ამ ობოლი პალმის!
ვინ მოუკლეს ახლობელი,
ვინ უჩაღებს კოცონს?
ეს ზღაპრული სამყოფელი
ნუთუ აღარ მოსწონს?!
სადმე ფესვი ხომ არ დასწყდა,
უსუსური ფესვი.

ეს ვისი ხმა შემოვარდა,
რა სიტყვები მესმის!
ის არ იცნობს ჯერ ჩვენს ტირილს
ჩვენს ბაღნარებს სავსეს,
ის მშობლიურ ცაზე ტირის,
ჟინიკეთის ცაზე..."

-"- -"-

აჰა, ჩემო, მზის რძე გინდა?
სულ მზით გინდა აგამღელოთ?
განა აქ ჟინიკეთია,
მზით ს ავსეა საქართველო.
შენ დაკარგე ცრემლის მხარე...
დარდი ზღვაში გადააგდე,
ხედავ სხივთა ჩქერებს?
ჩვენებრ შენ ვინ აგამღერებს,
ჩვენებრ შენ ვინ შეგიყვარებს,
ვინ მოგივლის ჩვენებრ?!
ჩვენ სამშობლო გვადიადებს,
შევხარით მის ღიმილს.
აქ რა უნდა დარდიანებს,
აქ რა უნდა ტირილს!
აქ ამ ჭადარს, თვით ამ ჩინარს
შენი გაგართონ უნდათ,
აქ ვერავინ ვერ დაგჩრდილავს,
ვერ შეგხედავს მტრულად!
ხედავ დგანან მდუმარედ და
შენ გიმზერენ ხენი.
ხედავ, მთვარე ცის ლურჯ გზებზე
როგორ მიიმღერის!...

ვარდს ეძინა, ბაღს ეძინა
და გიჟ მთიებს ფრთხილად
ღამე ზღვაში ჩაეძირათ,
ამოჰყავდათ დილა.
ადგა მზე და დასტა-დასტად
დაარიგა სითბო.
პალმა ისე შემოგარსა,
ცეცხლს უნთებდა თითქოს;
აგრძნობინა ძლიერება
და მხურვალე ეშხი
და რომ პალმას გაეღიმა,
აიტაცა ხელში.

1939, გაგრა.
კრებული "ქალაქი-ბაღი",
1949, სოხუმი, გვ. 68-70

## სიყვარულის ნანგრევებიდან

[illegible]
[illegible]

საუკუნედ მაწევს მკერდზე ოთხი ლოდი.
შენ მპირდები მხოლოდ წერილსა და ლოდინს...
ჩვენ შევერთდეთ უნდა, მაგრამ როდის, როდის?!

მე არ ვკითხულობ უპანიშადებს,
იყოს ქართული, იყოს შვედური.
მაინც არ ვიცი, რა დაგიშავე,
მაინც არ ვიცი, რისთვის მემდური!

რად შემიძულე როგორც გორგონა,
მე ვინც პირველი ტრფობა გიძღვენი.
დღეს ვნახე შენებრ ნაზი გოგონა
და სიყვარულის ძალა ვიგრძენი.
ო, რა ყოფილა!, ო, რა ძლიერი!
ამურის ცეცხლი მწვავს ალმოდებით.

მიწიერი ხარ თუ ცისიერი
ჩემთან იყავი, ნუ გამშორდები!

1940.

-"- -"-

მე აქ მოსული შენზე ადრე ვარ
და შენი მოსვლაც გამხარებია.
აღტაცებული ვუმზერ შადრევანს, -
ჩქერები თითქოს ვერცხლის თმებია.
ჩვენ ერთნაირად ვსუნთქავთ, ამდენად,
ჩვენ ერთნაირი გზა გვყვარებია!

ო, ეგ თვალები ზეცას მიაპყარ,
თითქოს ჟამი დგას აღსასრულისა -
ყური დაუგდე ჩქერების ხარხარს
და ახლა მაინც მითხარ სულისავ,
- რა ვქნა, რომელსაც ასე მიყვარხარ,
რა ქნან გრძნობებმა სიყვარულისამ?!
არ ამოხეთქონ?! მკერდიდან გული
არ ამოზიდოს გრძნობების ღვარმა!
მაშ, რა ქნას; შვება სად იგრძნოს სრული,
თქვი, მდუმარება დაგლიჯოს ქარმა...
მე მინდა გვქონდეს ჩვენ ერთი სული
და ორივენი ვცხოვრობდეთ მარად!

1940,
"მგზ. კოლხ.", 1940, N 159.

-"- -"-

საოცარია, შენი ბარათი
მივიღე მხოლოდ ოცი დღის შემდეგ.
თითქოს შორეულ მთიდან ბარამდის
მოგზაურობდა მშვიდად ის დღემდე.

თან მომიტანა ღელვა და შფოთი,
ისევ – ეჭვები, ისევ – კი არა.
უნდა დავტოვო ამეღამ ფოთი,
ეს ლურჯი ზღვა და ზეცა კრიალა.

თავს შევადარებ ფიჩორის უღრანს,
ტყის მყუდროება იარებს არჩენს.
ფრთხილად დავკიდებ შენს სურათს მურყანს
და ვეტყვი: "ძმაო, სახსოვრად დაგრჩეს.

იქნებ შორიდან მოგწვდეს ჩუმი ხმა
ჩემი მძებნელი, ჩემი მფლობელი
და შენ გაშიგო მისი გულისთქმა
ჩემთვის ესოდენ შეუცნობელი".

1941, იანვარი

-"- -"-

ღამე გაშლილა... დაიწყო ციცინათელების თარჩია,
მთვარის ლოჟებზე დამსხდარა მოციმციმეთა პლეადა.
რა ზნის ხარ, რა ხარ, არ ვიცი, მე მაინც შენ აგარჩიე,
ვარსკვლავო, ოქროსთმიანო, ელვარევ ბროლისფერადა!

ანათე, სხვები ანათე, მე შენი შუქი არ მინდა,
თუმც იქნებ ჩუმად შენამდის მისი კიბეთი ამევლო.
მხოლოდ იცოდე, მე დაგსვი ცის ტახტზე მზედ და რამინად
და დედამიწის ფანჯრიდან გიმზერი ყოველღამეო!

ახლა ნისლი დგას ზღვისპირად, არ ჩანან ციცინათლები,
მოციმციმენიც არ ჩანან, ცა ტაშით აღარ ხმიანობს.
შენ სად ხარ, საით წაიღე გულში ნაპერწკლად ნადები,
საით გაფრინდი, ვარსკვლავო, ძვირფასო, ოქროსთმიანო!...

ამოიოხრა მიდამომ. – რა უცნაური ჟინია!
დგას თავდახრილი რიჟრაჟი, მდუმარე და ცრემლიანი.
ჩემს გვერდით კალმა ქვითინებს: მიშველეთ!.. მე მეშინი
მესმის ზეციდან სამრეკლოს თეთრი ზარების გრიალი.

უბედურების დელგმაო, ქუხილად ჩამოვარდნილო,
რისხვაო ბედნიერების და ჟრუანტელის ტალღაო,
სიცოცხლის მღრღნელად გაზრდილო, არარსებულო ნამდვილო,
თვალშეუვლებო მარადის, ქარო, აჭრილო მაღლაო,

მზეო, მიწაო, დილაო, ნუ შემაჩერებთ უართან,
მიამბეთ ჩქარა, რაც ნახეთ, ვგრძნობ რაღაც ცუდი მომელი
ცა ჰკივის!.. ეს-და გავიგე, რომ შვილი ჩამოუვარდა,
ძირს დაენარცხა ბედშავი, დაიმსხვრა, მაგრამ რომელი?!

ჩემს ვარსკვლავს ორი ღამეა არ უჩანს თვალი გიშერის,
წინათ ციმციმით მატკბობდა – თურმე რა შუქი ჰქონია!
გააფთრებული თვალები დაეხეტება სივრცეში
და გაჯავრებით დასდევენ ფიქრი და მელანქოლია.

ვაება რომ არ დამატყდა, რომ არ გადაჰყვა სხვა ვინმეს,
ჩემი პირველი ოცნება და სიყვარული მღელვარი.
შენც ვერ გამიგე, ვით სხვებმა, ვით ბევრმა ჰანრის ჰა
სხივები ჩაქრნენ მეგონა და მაინც, მაინც ელავენ!...

ახლა მარტო ვარ... არ ჩანან ცქრიალა ციცინათლები,
მთვარის ლოყებიც არ ჩანან, ცა ტაშით აღარ ხმიანობს.
სადა ხარ, საით წაიღე გულში იმედად ნადები,
ჩემო ძვირფასო ვარსკვლავო, თვალნაზო, ოქროსთმიანო!

1941, თებერვალი

-"- -"- -"-

ო, დამრჩენია შენთან კიდევ სათქმელი რაღაც,
გულს ნაღვერდალად შემოენთო მწვავს და მაშფოთებს.
იმ პირველ თრთოლვას მოკრძალებით ვიგონებ ახლაც,
არ ვიცი ახლაც როგორ განგშორდე!

თუნდაც ათასი სიავგლახე შეთხზან კვლავ ჩვენზე,
მოსდონ მსოფლიოს ცისარტყელას ფერების მსგავსად,
მე მაინც გული შეუცვლელი დამრჩება შენზე
და შენს სამდურავს არ ვიტყვი არსად!

მაგრამ მე ვიტყვი, რომ იმ ღამეს, იმ პირველ ღამე
როცა ვიდექით ორივენი გულების ფეთქვით,
შენს ფაქიზ გრძნობებს, უწმინდეს და უნაზეს თვალებ
მე უსათუოდ ვუყვარდი — მეთქი!

შემდეგ? სიყვარულს აღარ შერჩა მზის აპრილობა,
ჩადგნენ გრძნობათა ჯალათებად ჩვენ შორის სხვები.
ხმაურის ტყეში გზა დაებნა წმინდა პიროზას
და ჩვენ ერთმანეთს გულცივად ვხვდებით!

გაივლის ჟამი... სინანული გეწვევა დარდად,
უგრძნობელ გულში სიყვარულის ხანჯალს გაივლებ.
გაგიხუნდება, დაგეხევა დუმილის ფარდა
და ყოველივეს ქრუანტელით მოინანიებ.

1941.

" მგზ. კოლხ." 1946,
N 130.

## აკაკი სვანეთში

"აქ ავიდგი ფეხი, აქ ამედგა ენა;
აქედან იწყება ჩემი მახსოვრობაც".

აკაკი

წამოიზარდნენ ჩრდილები ნაზად,
მოწყდა შრიალი კაკლის ხის რტოებს.
მზემ ყვავილებით აავსო ვაზა
და მაგიდაზე დაუდგა პოეტს.
თითქოს ქართველი ხალხის წუხილის
მთელი სიმძიმე აწვა მას მარტო,
იჯდა მგოსანი შუბლშეჭმუხვნილი
და გასცქეროდა მდუმარედ ტატნობს.
ხის ქვეშ ნიავი მოვარდა გრილი,
მოლს ჩააცქერდა ღრმად და ირიბად,
მოისვა მხრებზე ცვარნამი დილის...
და მდინარისკენ გაიჯირითა.
დარჩა პოეტი ფიქრების ღრუბლით
დამძიმებული და თმებჭაღარა.
დარჩა პოეტი - ასწია შუბლი
და გაუბრწყინდა სახე სხვაგვარად.
გაჰყვა ოცნებით ჩიხურას მღვრიეს...
ქვებქვეშ კიბოჩხალს როგორ იჭერდა!
როგორ პარავდა გაზაფხულს იებს
სოფლის ფეხშიშველ გოგონიჭებთან!
განა არ ახსოვს? აი ამ ხესთან,
- მკვირცხლი გონება ჰქონდა მაშინაც.
ტოლნი მრავალჯერ შეყრილან ერთად
და "ქორონია" უთამაშნიათ.
უნახავს თვითონ - მკვნესარე ვერხვებს
წვიმის დაცემა ეუფ რხულათ.

უნახავს თვითონ - სავანელ გლეხებს
როგორ ეცვათ და როგორ ეხურათ.
უნახავს თვითონ რიჟრაჟზე ნახირს
როგორ უძღოდა მწყემსი მოთავე.
უნახავს თვითონ - მშიერი ხალხის
მკერდს ქვეშ გულები როგორ შფოთავდნენ.
ღამეც უნახავს - მკლავების გაშლით
სრა-ვარსკვლავების იჭერდა ციმციმს.
რა ვუყოთ მერე, რომ იყო ბავშვი,
ვინ დაავიწყოს ალერსი ძიძის!
ეწვა კალთაში ხელეფუნთუშა,
მოუსვენარი ერთი წამითაც.
ხედავ? ვარსკვლავმა შეიკუნტრუშა...
- ძიძავ, ვარსკვლავი საით წავიდა!!
უამბე ჩაქარ, - მერე ზღაპარი
და შენი სოფლის დარდიც უთხარი.
გულჩათხრობილი მუდამ რად არი
შენი გული და შენი ბუხარი!
კამბე ჩქარა, განცდების მტვრევით
გახდეს მახვილი ბავშვის ოცნება.
ლომგულ ქართველებს ვინ ჰყავდათ მტერი,
ან ცას ვარსკვლავი კიდევ მოწყდება?
უამბე ჩქარა! ძილს არ ინებებს,
ნუ გაუგრძელებ ოღონდ მოლოდინს.
[illegible]ნს წითელ სახეს, შთაბეჭდილებებს
გაიყოლიებს იგი ბოლომდის.
აი, გახედე, როგორ ახარებს
რომ თვის ნააკვნარს ეწვია ახლა.

ხეებმა იცნეს, რტონი დახარეს,
მაგრამ შენ სად ხარ!.. მაგრამ შენ სად ხარ!...
გიგონებს , გიქებს ზრუნვას და ალერსს,
თავის გავშვობას უცქერს, უღიმის,
ხან ცისკარივით გააღებს თვალებს,
ხან ამღერდება ჩუმი ღიღინით.
მოხუცდა... ამის დასდევს წუხილი,
თუმც მას სიცოცხლე არ დაელევა,
სივრცეს გასცქერის შუბლშეჭმუხვნილი,
ფიქრების მთიდან ჩამოდის ნელა.
ხის ქვეშ ნიავი გამოჩნდა ისევ,
ფრთხილად აკოცა მგოსნის ჭაღარას.
ადგა აკაკი და სხვიტორისკენ
გაჰყვა ჩრდილებით დასერილ შარას.
ადგა აკაკი! მთელი სავანე
და საქართველო წამოდგა მთელი!
და მიაცილეს ეზოს თავამდე
"სულიკოთი" და "ციცინათელით".

1940.

"ჩვენი თაობა", 1941, N 1
გვ. 8-9

სიმღერა დამშვიდობების

შენ, მშობლიურო, ჩემო ქალაქო,
იქ, ბრძოლის ველზე მიგულე ხვალ-ზეგ!
მივდივარ, მტრები უნდა ავლაგმოთ
შემოსეული ჩვენს მიწა-წყალზე!

მივდივარ!.. ვკოცნი შენს ყოველ ყვავილს,
ქუჩას, სადაც მე მივლია მარტოს.

სიკვდილი, ვინც ფრონტს არიდოს თავი
და უღალატოს სამშობლოს ამ დროს.

მივდივარ!.. ვტოვებ სახე მრისხანეს,
შორს ზარბაზნების ისმის გრიალი.
შენი ხეები აბჯრებს ისხამენ
და მაცილებენ ფოთოლთ შრიალით.

მივდივარ!.. ქვეყნის ბედის ძახილზე
სხვა სურვილები ვინ არ მოკეცოს.
და, მოგონებამ შენს ლამაზ ცაზე
მე ბრძოლის ძალა გამიორკეცოს.

დე, გვიელავდეს ხელში თოფები,
ქარს და გრიგალებს ჰკვეთდეს ჩვენი გზა
და ეს სიმღერა დამშვიდობების
იყოს სიმბოლო გამარჯვებისა.

## გელოდები

/ფრონტზე მიღებული ბარათი/

გელოდები... თუნდაც ათას
ღამეს დაგელოდები,
თუ ვერაგ მტერს მხნედ და მაგრად
კვლავაც გაუსწორდები!...

გელოდები, აფრები
გადაშალა ყინვებმა.
თავს გავირთობ ზღაპრებით
და არ მომეწყინება.

დამაღამდა მე დღესაც
ლოდინსა და დუმილში.

იყავ, ოღონდ შენზე ფიქრს
და ოცნებას ნუ მიშლი.

მოდი მაშინ, როდესაც
ნაზ სიმღერით გინატრებ,
ჩვენს გულშიაც სულ მალე
სიხარული ინათებს.

1942
"კრებული"იერიში", 1948.

## სამი ლექსი

/ ციკლიდან "კარპატებში" /

ძირს, უფსკრულებში მტვრევით, განგაშით
გადაიჩეხა მტრის შავი რაზმი.
ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით
გამარჯვებული და ბუმბერაზი.

აი, მოვედი სანუკვარ გზამდე,
იშლება ველი ჩრდილ-დაფენილი.
წაბიჯის სიგრძე ბრძოლებით ვზარდე,
აქედან მოჩანს ბნელი ბერლინი.

აი, ბილიკი, ხავსიან კლდეზე
დაკიდებული თოკივით ობლად
თითქოს წარსული წამოდგა ზეზე,
იღვიძებს დღეთა მარადისობა.
თითქოს ეს ხენიც, განმდგარნი ლოდებს,
ცოცხლად შერჩენილ რტოთა ფიორით
მეუბნებიან: იდგაო ოდეს
ამ გზა-ბილიკზე ბაგრატიონი.

გავხედე კარპატს ნაომარს გუშინ,
შემომაგებეს ღიმი გორებმა
და სიხარული შეიჭრა გულში
როგორც სიმღერა და შთაგონება...

ბაგრატიონის ხმა მესმის სრული...
და უსასტიკეს ხეობის იქით,
ის, წინაპარი ჩემი მამულის,
ხმალშემართული მინათებს ბილიკს.

1944

გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება",
1944, 8/XII, N 41.

-"- -"- -"-

მახსოვს უცხო ქვეყნის ტყეში დამარხული
ჯარისკაცის - მეგობარი ჩემი.
ხის ფოთლები აბრეშუმად დავახურე,
დავიტირე, ვარსკვლავების ცრემლით!
მახსოვს ფიქრი, ო, ის ფიქრი მაშინდელი,
მწუხარებით გათანგული ფიქრი.
ღამე იწვა ხის რტოებზე დამშვიდებით,
მთვარე თლემდა კარპატების იქით.

ჩურჩულებდა ტყე ფოთლების ბაირაღით,
მე მესმოდა ტყის ჩურჩული ფრთხილი:
"- ხვალ როდესაც მზე ამ ხესთან თავს ძირს დახრის,
მლოცველივით დაადგება ჩრდილი.

მიცოცდება ჭიანჭველა მიცოცდება,
ცივ ბაგეზე შეჩერდება ამაოდ.
ხიდან ჩიტი ჩამოსძახებს - სიცოცხლე ვარ,
გაიღვიძე, გზა განაგრძე, ძმაო!

შეირხევა? თვალს გაახელს? წამოდგება?"
ივლის მწერი ამ ფიქრებით შუბლზე...
მაგონდება დღეს ის ღამე მაგონდება
და მე თითქოს იმ ჯარისკაცს ვუმზერ.

1944. "მგზ.კოლხ."
1959, N 24.

-"- -"- -"-

ტყე თავდება და ტყე თითქოს კვლავ იწყება,
ულევი და უდაბური ეს ტყე.
ტყის სურათებს არ სცოდნია დავიწყება,
თუკი გულში ჩაიმარხე ერთხელ!

ქოლგასავით, აქაც ნეშოთ ავსილ მიწას,
ახურავენ ჩრდილებს ხეთა რტონი.
და ნადირთა ნაკვალევში ჩამდგარ ცივ წყალს
ბეღურები სვამენ გულით თრთოლვით.

აქაც შურთხი, ისე როგორც ცისკრის დროზე,
ყუმბარებით ვანგრევთ მტერთა სანგრებს,
ტყის იდუმალ მდუმარებას რტოდან რტოზე;
კრიახით და ფრთის ფარფატით ანგრევს.

აქაც ბნელა - გზა-ბილიკი აქაც არ ჩანს,
კენჭებივით ყრია ქერქი ხეთა.
და ჩირგვები შეჩვეული ჩრდილქვეშ ტანჯვას
მგლოვიარე ქალებივით სხედან.

აქაც მიწა, ფეხს რომ ვადგამ, თითქოს ღა რდობს,
ხმელ ფოთლებით მესმის როგორ ხვნეშის...
და მე უცებ მაგონდება ყოფნა ამ დროს
ჩემი სოფლის ტყეში!

1944.
მგზნ.კოლხ. 1959, N 24.

## უნგრეთის ღამე

ღამეა ახლა დუნაის პირად,
გზა ეკარგება სივრცეში თვალებს.
შორს დამრჩა ჩემი სამშობლო წმინდა,
აქ სხვანაირი დამყურებს მთვარეც.

უცხო მხარეში მოვსულვარ ბრძოლით,
აგდია ფეხქვეშ ყინვა, ვით მკვდარი.
დუნაის პირად წევს ახლა თოვლი,
დუნაის პირად ტრიალებს ქარი.
ხმა საზარელი ისმის გაღმიდან,
დაჭრილი შველას ამგვარად ითხოვს.
ვუმზერ ვარსკვლავებს ჩემი სანგრიდან,
დაბადებული სანგარში თითქოს.
დილით, რიჟრაჟი როცა გაჰქრება,
გზას დამილოცავს სანგარი სანდო.
სადღაც მომიწევს კვლავ ჩასანგრება,
ან სად ვიქნები, ვინ იცის ამ დროს...
ვინ იცის კიდევ სანამ ნათელი
მზე-გამარჯვების ყველგან დადგება,
ჩამომცილდება გზაში რამდენი,
რამდენი ისევ შემემატება.
მაგრამ ერთი რამ მე მაინც მჯერა,
მე მაინც მწამს, რომ ბრძოლების მარშით,
გამარჯვებული ბერლინში შევალ
ჩემი არმიის დროშების გაშლით.
თითქოს ის დროშა მეჭირის ხელში,
ისეთ უცნაურ ზმანებას ვხედავ.

ცა შორეული, სიბნელის ტყეში
დამეძებს, როგორც ფიქრებით დედა.
და მაგონდება უეცრად ჩემი
შორს დარჩენილი სოფელი ლაღი.
რიონის პირზე ღიმილის მჩენი
პეპლებს დავდევდი ქოჩორა ბალღი.
ახალი დროის მზის თანატოლი,
ვზრდიდი ოცნებას ნათელ დარებად.
დღეს სად მოვსულვარ... ტბა ბალატონის
თითქოს სიცოცხლეს მემუდარება.
დღესსად მოვსულვარ... მთების გადაღმა
ირჩენს ჭრილობას სამშობლო მხარე.
ჩემს ცივ სანგართან წევს თოვლი ახლა
და სისხლიანი უნგრეთის ღამე.

1945 წ. იანვარი

კრებული "იერიში". 1948

## გამარჯვებული სულის სიმღერა

/ნაწყვეტი პოემიდან/

ზოგჯერ თამბაქოს ბოლი ფარულად
ამოდის შენი სანგარის თავზე.
იშლება მზის და ცის სიხარულად
შენი სიმღერა სიცოცხლით სავსე.
არა, არ სწვდება ალაზნის ვერხვებს
ხმა იმ სიმღერის, მტრის გულს რომ ზარავს.
თითქოს მოსულა ქართლელი მეხრე
და ჩემს პირდაპირ ღიღინებს წყნარად.
თითქოს სანგრები იქცნენ სახლებად,
გაშლილ ბაღებად იქცნენ ფრონტები.
თითქოს დამთავრდა ზღვის აჯანყება,

სდუმან ტალღები და ფიორტები.
ისე მშვიდად და ისე ლამაზად
ისმოდა შენი ხმა იმ სანგრიდან!...
არა მსმენია მსგავსი ხმა არსად
ეს ომის წლები ისე გავიდა.
აი, აქ მხოლოდ, სადაც ურჯული
მხეცის ლეკვები ჯერაც არიან,
ოხრავს ცეცხლისგან გადარუჯული
ბრანდენბურგი და პომერანია.
აი, აქ, სადაც ეშვება ალად
ციდან ყუმბარა ბერლინის თავზე,
გამოჩნდა შენი ნამდვილი ძალა,
მზის სიდიადე და სილამაზე.
და დღეს, როდესაც ოდერის ბჭენი
ჩვენი გმირების დაკვრით ირღვევა,
მე გავიგონე პირველად შენი
გამარჯვებული სულის სიმღერა.
სიმღერა იგი - ელდა მტრისათვის,
ქარს დასავლეთით მიჰქონდა ჩქარა.
და ვით ფოლადის ბასრი ისარი,
ხვრეტდა ჰიტლერის ჯავშნიან კარავს.
სიმღერა იგი, უბრალო ასე,
გულის სიღრმიდან მძლედ ამოსული.
არის შობილი სისხლიან გზაზე
და ქარიშხლიან დღის ჩამოსხმული.

1945,

კრებული "იერიში", 1948.

## თბილისში ვარ...

თბილისში ვარ!... ჩემი მერცხლის ბუდე ვნახე,
ჩემი ბაღის ყვავილები და კვირტები.
ომში წასულს, ბუდეც რაა შემინახეს
და ყველაფერს ცისკრის თვალით ვაკვირდები!

თბილისში ვარ!... ვარდისფერი ღამე მიპყრობს,
ვარსკვლავები მაღლა სწევენ მზის ფარდაგებს.
მეც ვმაღლდები!... მეც სულ მაღლა მინდა ვიყო
და ეს ნატვრა ზღაპრულ იმედს მიქანდაკებს.

მოვიარე შორი ზღვა და შორი მთები,
რომ სიცოცხლე შემრჩენოდა მზეს და ბაღებს.
და დღეს ფრთხილად, ძველებური მორიდებით
მე თბილისის რკინის კარი შემოვაღე.

მინდა ვიდგე მეც ამ ხეთა ჩრდილების ქვეშ,
მეც ვხარობდე ამ ქალაქის მზის ფერებით.
და გაზაფხულს გაზაფხულის იებითვე
შევხვდე მერცხლის, ჩემი მერცხლის სიმღერებით!

1946. იანვარი